ოქმი:**ო63.63211883**
თარიღი:**07/07/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 28

ქ. სამტრედია. 02 ივლისი, 2021 წელი.

2021 წლის 02 ივლისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტოროჯაძე, ვაჟა სტურუა, ლიზა კრავეიშვილი, ბაია იმესაშვილი მ/შ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვის

   განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: კობა ძიძიგური/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (10 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ***2021 წლის 01 ივლისის N***62-622118273, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის

6 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. ცვლილების მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე კვებითი უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებული იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტერიაში (ან შესაბამის, ფინანსურ ოპერაციებზე და აღრიცხვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურაში) წარადგინოს ღონისძიებაზე მივლინების ბრძანება და დამოწმებული სამივლინებო მოწმობა, არაუგვიანეს ღონისძიების დასრულებიდან 5 კალენდარული დღისა.''

(მომართვის N 62-622118273, 01/07 /2021 წ. საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63211832-63

02/07/2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიებად ერთობლივად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიები.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

კობა ძიძიგური

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი